დანართი №2

სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კონდიტერია" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია მაწკეპლაძე

წევრები:

მაია მსხილაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბლექსი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 4 ივლისის №859779 (ცვლილება 09.07.2026 ბრძანება №0000901651) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ „ბლექსიში“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “კონდიტერია“ დამატების ფარგლებში.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2026 წლის 20 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ბლექსიში“ მისამართზე: ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა, № 92.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებსა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოს, პრაქტიკის ობიექტების, ბიბლიოთეკისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება.

ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია დეტალურად არის ასახული ექსპერტთა დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანტდარტთა შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფს 2026 წლის 10 აგვისტოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის წერილთან ერთად გაეგზავნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა დასკვნის პროექტთან დაკავშირებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნულ ნაწილთან დაკავშირებით დამატებითი შენიშვნები არ წარმოუდგენია.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კონდიტერია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N01-02/83; 20.05.2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქ. №92ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2024 წლის 16 დეკემბრის №01-02/191 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დანერგვისა და განხორციელების პროცესს. დოკუმენტის მიზანია, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი ფორმებისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნებთან. წესი განსაზღვრავს პროგრამის დამატების პროცედურას, პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიას, მიზანშეწონილობის დასაბუთების მოთხოვნებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ გეგმას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას, რომლის მისიაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა პროფესიული განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელების გზით. მისიის შესაბამისად, დაწესებულებისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს ტურიზმისა და მომსახურების სფერო, მათ შორის – კონდიტერიის მიმართულება.

2019–2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით (ამოცანა 4.1.1) გათვალისწინებულია „კონდიტერიის“ პროგრამის განხორციელება და განვითარება. აღნიშნულთან შესაბამისობაში, 2025 წელს განხორციელდა პროგრამის განახლება და კოოპერაციული სწავლების მოდელის შემუშავება, ხოლო 2026 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ახალი სტანდარტის საფუძველზე „კონდიტერიის“ IV დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას. პროგრამა შემუშავდა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, დარგის წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, მათ შორის ინტეგრირებული მიდგომის გამოყენებით.

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა დასაბუთებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზით. თვითშეფასების ანგარიშს ერთვის შესაბამისი კვლევები, რომელთა მიხედვითაც კონდიტერის პროფესია რეგიონში მოთხოვნად პროფესიათა შორისაა. წარმოდგენილია როგორც 2023 წელს განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს მიერ 2024 წელს მომზადებული ანალიზი, რომლის მიხედვითაც მზარდია მოთხოვნა სასტუმრო-სარესტორნო და კვების სფეროს სპეციალისტებზე, მათ შორის – კონდიტრებზე. ამასთან, წარმოდგენილი მონაცემებით, 2020–2025 წლებში „კონდიტერიის“ პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 79.5%-ს შეადგენს.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ასევე გამოიკვეთა, რომ კოლეჯი „კონდიტერიის“ პროგრამას 2018 წლიდან ახორციელებს და პროგრამის განვითარებისას ეტაპობრივად ახდენდა სწავლების ფორმის ადაპტირებას. პროგრამა თავდაპირველად ხორციელდებოდა დუალური სწავლების ფორმით, შემდგომ – კოლეჯის ბაზაზე, ხოლო არსებული საჭიროებებისა და სამუშაო ჯგუფის ანალიზის საფუძველზე დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება პროგრამის კოოპერაციული სწავლების ფორმით განხორციელების შესახებ, რაც რეალურ სამუშაო გარემოში პროფესიული კომპეტენციების განვითარებას უწყობს ხელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის მდგრადობას ადასტურებს ასევე ის გარემოება, რომ კოლეჯი მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებს კონდიტერიის მიმართულებით პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, ხოლო კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან რეგიონში მოქმედ წამყვან კომპანიებში ან იწყებენ დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება ეფუძნება შესაბამის ანალიზსა და დასაბუთებას, შეესაბამება დაწესებულების მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმასა და პროგრამის დანერგვის შიდა წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო პროგრამის დანერგვისა და განვითარების პროცესი ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და პროფესიული განათლების განვითარების პრიორიტეტებზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.2 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას-შეფასდა შესაბამისად

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

„კონდიტერიის“ IV დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტითა და პროგრამით. პროგრამაზე დაშვების უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ხოლო საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, როდესაც პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, – საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2025 წლის 3 თებერვლის №01-02/15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის წესით“ (ბოლო ცვლილება – 2026 წლის 9 მარტის №01-02/38 ბრძანება). აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად და დეტალურად განსაზღვრავს ჩარიცხვის პროცესის ყველა ეტაპს – მიღების გამოცხადებიდან პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებისა და სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით.

ჩარიცხვის წესი ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და არაქართულენოვანი აპლიკანტების ჩარიცხვის თავისებურებებს, რაც ხელს უწყობს პროფესიულ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას.

ჩარიცხვის წესის შესაბამისად, კოლეჯი ყოველწლიურად ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასების ეტაპებისა და შერჩევის მეთოდოლოგიას. წარმოდგენილი პროგრამისთვის აპლიკანტთა შერჩევის ძირითად მეთოდს წარმოადგენს მოტივაციური გასაუბრება, ხოლო კოოპერაციული სწავლების ფორმით განხორციელებული პროგრამის შემთხვევაში შეფასების პროცესში მონაწილეობს პარტნიორი დამსაქმებელიც. შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და მოიცავს აპლიკანტის მოტივაციის, პროფესიის შესახებ ინფორმირებულობის, პროფესიული ღირებულებების, პიროვნული მახასიათებლებისა და პროფესიული განვითარების გეგმების შეფასებას. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლების ჩართულობა დამატებით უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის შესაბამისობას რეალური სამუშაო გარემოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისა და აპლიკანტთა შეფასების პროცედურები შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, არის გამჭვირვალე, თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული და უზრუნველყოფს ისეთი აპლიკანტების შერჩევას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები და მოტივაცია ქმნის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევის საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - შეფასდა შესაბამისად.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესი რეგულირდება სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის მ/შ 2024 წლის 30 დეკემბრის №01-02/208 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით“. აღნიშნული მეთოდოლოგია ადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კვოტის განსაზღვრის პრინციპებს, კრიტერიუმებსა და პროცედურებს და უზრუნველყოფს მისი განსაზღვრის პროცესს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსების, აგრეთვე პროგრამის განხორციელების ფორმისა და ორგანიზების თავისებურებების კომპლექსური შეფასების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება აფასებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო გარემოს საკმარისობასა და შესაბამისობას. მეთოდოლოგია ითვალისწინებს A, B და C ტიპის სასწავლო გარემოების რაოდენობასა და გამტარუნარიანობას, სამუშაო ადგილების რაოდენობას, სასწავლო სივრცეების ფართობის შესაბამისობას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობასა და სასწავლო სივრცეების ეფექტიან გამოყენებას სხვადასხვა პროგრამისა და სასწავლო ცვლის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვოტის განსაზღვრის პროცესში შეფასებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსიც, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, კვალიფიკაცია, სამუშაო დატვირთვა და სხვადასხვა ცვლაში მათი ჩართულობის შესაძლებლობა საქართველოს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. კოოპერაციული სწავლების ფორმით განხორციელებული პროგრამების შემთხვევაში დამატებით ფასდება პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები, თანამშრომლობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული შესაძლებლობები და რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად არსებული პირობები.

მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს პროგრამის ფინანსური მდგრადობის შეფასებას. კერძოდ, კვოტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, შემოსავლებისა და ხარჯების თანაფარდობა, რენტაბელობის ზღვარი, პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გეგმის სპეციფიკა, მრავალცვლიანი სწავლების ორგანიზების შესაძლებლობა, ასევე პროგრამაზე არსებული მოთხოვნა როგორც შრომის ბაზარზე, ისე აპლიკანტებს შორის. ამასთან, დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და შემცირების პროცედურებს, რომლებიც ეფუძნება თვითშეფასების შედეგებს, რესურსების ხელახალ შეფასებასა და შესაბამის წერილობით დასაბუთებას.

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერიის“ ფარგლებში განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ორ ცვლაში, თითოეულ ცვლაში 15 პროფესიული სტუდენტის სწავლებით. ამასთან, დაწესებულება ერთ მიღებაზე გეგმავს 15 პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვას, რაც შეესაბამება პროგრამის განხორციელებისთვის არსებულ სასწავლო გარემოსა და რესურსებს.

ავტორიზაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერიისთვის“ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დასაბუთებულია და შეესაბამება დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკურ, ადამიანურ, ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ შესაძლებლობებს. განსაზღვრული კვოტა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას, პროფესიული სტუდენტებისთვის უსაფრთხო და შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას, ასევე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ხარისხიანად მიღწევისათვის აუცილებელი პირობების არსებობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - შეფასდა შესაბამისად.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციას თან ახლავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი (დანართი №3 – „მატერიალური რესურსი“), რომელშიც თითოეული მოდულის შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი ინვენტარი, აღჭურვილობა და სხვა რესურსები. წარმოდგენილი ჩამონათვალი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროგრამის მოთხოვნებს და ქმნის თითოეული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ რესურსულ საფუძველს.

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა შეაფასა წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერვიუების საფუძველზე. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ „კონდიტერია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო რესურსები და სასწავლო ლიტერატურა.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროგრამის პრაქტიკული და თეორიული კომპონენტების განხორციელებისთვის განკუთვნილი სასწავლო სივრცეები აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი ტექნოლოგიური აღჭურვილობით, ინვენტარითა და სასწავლო რესურსებით. პროფესიულ სტუდენტებსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ხელმისაწვდომი აქვთ როგორც ბიბლიოთეკის, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც მხარს უჭერს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საგანმანათლებლო რესურსები რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, მოდულების სპეციფიკასა და პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრულ რაოდენობას. არსებული ინფრასტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს უსაფრთხო და ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას, ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების განვითარებას და საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - შეფასდა შესაბამისად.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერია“ მოიცავს არჩევით მოდულს – „საწარმოო პროექტი“, რომელიც პროფესიული სტუდენტებისათვის ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. მოდული ორიენტირებულია პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და პროფესიული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში ინტეგრირებასა და სამუშაო პროცესში მათი ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ მოდულის დანერგვა მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას და პროფესიული კომპეტენციების რეალურ სამუშაო გარემოში განვითარებას. მოდულის ფარგლებში სტუდენტები ჩართულნი არიან საწარმოო პროცესში, სადაც პრაქტიკულად ავითარებენ სამუშაო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების, თანამედროვე საკონდიტრო ტექნოლოგიების გამოყენების, პროდუქციის ხარისხის კონტროლის, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის უნარებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის განხორციელების უზრუნველსაყოფად კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები შესაბამის პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომელთა ბაზაზეც პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში. წარმოდგენილი ხელშეკრულებების მიხედვით, პრაქტიკული სწავლება ხორციელდება შპს „ალუბალში“, შპს „ტურინვესტში“ (სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“), შპს „ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთში“ (სასტუმრო „შერატონ ბათუმი“), შპს „ბათუმი თაუერში“ (სასტუმრო „Le Méridien Batumi“), შპს „არგო მენეჯმენტში“ (სასტუმრო „რადისონ ბლუ ბათუმი“) და სს „გუდვილში“. პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განაწილებას იმ რაოდენობით, რომელიც შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და ქმნის პირობებს მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, არჩევითი მოდული „საწარმოო პროექტი“ შინაარსობრივად და ფუნქციურად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პარტნიორ ორგანიზაციებთან არსებული თანამშრომლობა უზრუნველყოფს მოდულის ხარისხიან განხორციელებას, ხოლო რეალურ სამუშაო გარემოში სწავლება ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპეტენციების განმტკიცებას, პროფესიული პასუხისმგებლობის, დამოუკიდებელი მუშაობისა და გუნდური თანამშრომლობის უნარების განვითარებას, რაც ზრდის მათი დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერინდიკატორი 2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - შეფასდა შესაბამისად.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესი კოლეჯში რეგულირდება სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №01-02/26 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესით“. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს პროგრამის სიცოცხლის ციკლის მართვის ერთიან ჩარჩოს და განსაზღვრავს პროგრამის ინიცირების, მიზანშეწონილობის შეფასების, დაწესებულების რესურსებისა და შესაძლებლობების ანალიზის, სამუშაო ჯგუფის შექმნის, პროგრამის შემუშავების, შესაბამისობის შეფასების, დამტკიცების, დანერგვისა და შემდგომი განვითარების ეტაპებს.

დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და მოიცავს როგორც პროგრამის შინაარსობრივი შესაბამისობის, ისე მისი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციული რესურსების შეფასებას. პროგრამის დამტკიცებამდე ხორციელდება მისი შესაბამისობის შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან დაგეგმვასა და განხორციელებისთვის მზადყოფნას.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს კოლეჯის დირექტორს. დოკუმენტაციის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერია“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2026 წლის 20 მაისის №01-02/83 ბრძანებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის დამტკიცების პროცესი განხორციელებულია დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრული პროცედურებისა და მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „კონდიტერია“ საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მის შინაარსს, მიზანსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ნათლად ასახავს იმ პროფესიულ კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც პროგრამა უზრუნველყოფს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამის მიზნები, სტრუქტურა, სწავლის შედეგები და სასწავლო მოდულები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში, რაც შეესაბამება პროგრამის სახელწოდებას, შინაარსსა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - შეფასდა შესაბამისად.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №01-02/26 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სიცოცხლის ციკლს და ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების (PDCA – დაგეგმვა, განხორციელება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება, გაუმჯობესება) პრინციპს. დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამის ინიცირების, მიზანშეწონილობის შეფასების, სამუშაო ჯგუფის შექმნის, პროგრამის შემუშავების, შიდა შეფასების, დამტკიცების, განხორციელების, განვითარების, ცვლილებების მართვისა და გაუქმების პროცედურებს, რითაც უზრუნველყოფს პროგრამის სისტემურ დაგეგმვასა და განვითარებას.

დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის დანერგვის წესი ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვის ერთიან ჩარჩოს, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული ეტაპის მიზანი, პასუხისმგებელი სუბიექტები, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები და შეფასების პროცედურები. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფას, მათი განხორციელების მონიტორინგსა და მიღებული შედეგების საფუძველზე შემდგომ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერია“ შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და პროგრამის დანერგვის წესით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. წარმოდგენილი პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ დოკუმენტაციას, მათ შორის პროგრამის აღწერას, სასწავლო გეგმას, მოდულებს, ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაციას, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ორგანიზებულ და თანმიმდევრულ განხორციელებას.

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ასევე დადგინდა, რომ პროგრამა და მასში ინტეგრირებული მოდულები ადაპტირებულია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკურ და ადამიანურ შესაძლებლობებთან. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტების ლოგიკურ ურთიერთკავშირს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე და სისტემური პროცედურების საფუძველზე, ხოლო წარმოდგენილი პროგრამა თავისი სტრუქტურით, შინაარსითა და რესურსული უზრუნველყოფით შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს და ქმნის პროგრამის ხარისხიანი განხორციელების წინაპირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ მისია
- სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ 2019-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №032 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის წესი“.
- სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №01-02/26 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესი“
- სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის მ/შ 2024 წლის 30 დეკემბრის №01-02/208 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით“
- დანართი №3 – „მატერიალური რესურსი“;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ~

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერია“ უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსებით. პროგრამის პაკეტს თან ერთვის მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომელშიც მოდულების მიხედვით განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარი, აღჭურვილობა და სხვა სასწავლო რესურსები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რესურსების ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ადგილზე დათვალიერების შედეგები ადასტურებს, რომ აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია დაწესებულების ბაზაზე და შეესაბამება პროგრამის განხორციელების მოთხოვნებს.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი A ტიპის სასწავლო გარემო, ერთი B ტიპის სასწავლო გარემო, ერთი C ტიპის სასწავლო გარემო (56.26 კვ.მ) და ერთი A/C ტიპის სასწავლო გარემო (33 კვ.მ). თითოეული სასწავლო გარემო აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის პირობებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 32 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 23 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. ამასთან, აღნიშნულ რაოდენობაში არ არის გათვალისწინებული პარტნიორ ორგანიზაციებში მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ განმახორციელებელი ინსტრუქტორები, რომლებიც პრაქტიკული სწავლების პროცესში უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერასა და სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ სამუშაო გარემოში.

არჩევითი მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებში. წარმოდგენილი თანამშრომლობის ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ კოლეჯს ექვს პარტნიორ ორგანიზაციასთან აქვს გაფორმებული თანამშრომლობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებიც პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფენ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და რეალური სამუშაო გარემოთი. ამასთან, პროგრამის მატერიალური რესურსების შეფასებისას გათვალისწინებული არ არის პარტნიორი ორგანიზაციების C ტიპის სასწავლო გარემოები, რაც კიდევ უფრო ზრდის პროგრამის განხორციელებისთვის ხელმისაწვდომ პრაქტიკულ რესურსს.

დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ პროგრამის ფარგლებში ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის შექმნილია შესაბამისი პირობები. კერძოდ, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის განხორციელებისთვის უზრუნველყოფილია საჭირო ლაბორატორიული ინვენტარი და აღჭურვილობა, ხოლო „სპორტის“ მოდული ხორციელდება კოლეჯის ტერიტორიაზე მოწყობილ სპორტულ მოედანზე, რომელიც სრულად აკმაყოფილებს აღნიშნული მოდულის განხორციელებისთვის საჭირო მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერია“ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და სასწავლო რესურსებით. არსებული სასწავლო გარემოები, პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ხარისხიანად მიღწევისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - შეფასდა შესაბამისად.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 35 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 4 – ზოგადი მოდულის, 12 –

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებული ზოგადი მოდულის და 19 – პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებელი. პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსის რაოდენობა და კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მოცულობასა და განხორციელების სპეციფიკას.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ასევე დადგინდა, რომ თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს. ადამიანური რესურსის დაგეგმვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას, მოდულების ეფექტიან განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტებისთვის ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, მათი ფუნქციების განაწილება და სამუშაო დატვირთვა ადეკვატურია პროგრამის მოთხოვნებთან მიმართებით და ქმნის პროგრამის ეფექტიანი, ხარისხიანი და მდგრადი განხორციელების წინაპირობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - შეფასდა შესაბამისად.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის №01-02/204 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება“, პროგრამის განმახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია, პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისას შეფასებულია მათი განათლება, პროფესიული გამოცდილება, პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება და შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო პროფესიული და პედაგოგიკური კომპეტენციები.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აკმაყოფილებენ მათთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დიპლომებით, პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატებით, სამუშაო გამოცდილების ამსახველი დოკუმენტებითა და სხვა შესაბამისი მტკიცებულებებით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასებისათვის საჭირო ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენციები.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა პროგრამის დანართებში წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესახებ. წარმოდგენილი მონაცემები იძლევა შესაძლებლობას იდენტიფიცირდეს თითოეული მოდულის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი და ადასტურებს, რომ პროგრამის ყველა კომპონენტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლებით.

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ პროცესებში. ისინი ჩართულნი არიან მოდულების ადაპტირებაში, პროგრამის შინაარსის განახლებაში, შეფასების მექანიზმების დახვეწასა და პროგრამის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვაში, რაც ხელს უწყობს პროგრამის შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად ადეკვატურია პროგრამის მოცულობისა და სპეციფიკის მიმართ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენციები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - შეფასდა შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 30 იანვრის №01-02/13 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციები, პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, სამსახურებრივი ბარათები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებები, ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული დაწესებულების შიდა რეგულაციებით. თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დანერგვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების პროცესების კოორდინაციაზე, აგრეთვე პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფაზე მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ავტორიზაციის მოთხოვნებსა და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან.

დოკუმენტაციის ანალიზით დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს პროგრამის ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელი ფუნქციები, მათ შორის პროგრამის განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგი, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის სისტემატური ანალიზი, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eFlow) მეშვეობით ანგარიშგება, სასწავლო ჯგუფების დასრულების შემდეგ შემაჯამებელი ანგარიშების მომზადება და პროგრამის განვითარების მიზნით შესაბამისი ინიციატივების წარდგენა.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2022 წლიდან პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც აქვს პროგრამის მიმართულებით პროფესიული განათლება, შესაბამის სფეროში მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება, მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციებზე საქმიანობის გამოცდილება, და პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა. ამასთან, იგი თავადაც მონაწილეობს პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელებაში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მართვას პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული მიდგომით.

პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობა დასტურდება წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათებითა და სხვა ადმინისტრაციული დოკუმენტაციით, რომლებიც ადასტურებს მის აქტიურ ჩართულობას პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში, ასევე სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ეფექტიან კოორდინაციას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, განსაზღვრული უფლებამოსილებები და განხორციელებული საქმიანობა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან მართვას, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შედეგიან განხორციელებასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი პირობების შექმნას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის კოლეჯ „ბლექსის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დამტკიცებული 2021 წლის 28 თებერვლის №01-02/124 ბრძანებით), ბიბლიოთეკის ფონდი, ელექტრონული რესურსები და ვიზიტის ფარგლებში ადგილზე დაათვალიერა ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა.

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს უზრუნველყოფილი აქვთ ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებზე, ასევე სასწავლო პროცესისთვის საჭირო ტექნიკურ საშუალებებზე წვდომა. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განსაზღვრავს ბიბლიოთეკის მომსახურებით სარგებლობის პირობებს, მომხმარებელთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობის მექანიზმებს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ სასწავლო ლიტერატურას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით. პროგრამის მოდულებში მითითებული ძირითადი სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის, რაც ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ საბიბლიოთეკო რესურსები, მათი მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რესურსებზე ხელმისაწვდომობა შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების სასწავლო და პროფესიული საქმიანობის ეფექტიან მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - შეფასდა შესაბამისად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მათ შორის სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების წესი, ასევე ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯში შექმნილია ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების სამართლებრივი, ორგანიზაციული და პროცედურული მექანიზმები. დოკუმენტი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას, საჭირო საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფას, დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზების შესაძლებლობას, სასწავლო გარემოს ფიზიკურ ხელმისაწვდომობასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურებს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ კოლეჯში განსაზღვრულია სსსმ პირთა მიღების, მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის მექანიზმები, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილი კვოტის ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესაძლებლობა. ამასთან, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო, საბიბლიოთეკო, ადმინისტრაციულ და სხვა სივრცეებზე შშმ პირთა ხელმისაწვდომობას, რაც ქმნის თანაბარ პირობებს საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაცია დეტალურად არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების საფუძვლებს, პროცედურებსა და პასუხისმგებელ პირებს. ისგ შემუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე მობილობის, სტატუსის აღდგენისა და სხვა შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზაცია. დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მენეჯერისა და შესაბამისი კომისიის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულებას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სწავლების პრაქტიკული გამოცდილება, მათ შორის კონდიტერიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდი სისტემატურად აკვირდება სასწავლო პროცესს, აფასებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს მათ კონსულტირებას. აღნიშნული საქმიანობა დასტურდება სასწავლო პროცესზე დაკვირვების ფორმებითა და საკონსულტაციო შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაციით.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო მომსახურებასა და ადაპტირებულ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობას. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაცია, ხოლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებულია აკომოდაციისა და ადაპტაციის შესაძლებლობა. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ პრაქტიკაში კოლეჯს გამოყენებული აქვს სპეციალიზებული ტექნოლოგიური რესურსები, მათ შორის უსინათლო პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსები ფორმირდება პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციონირებს ინკლუზიური პროფესიული განათლების მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის ასისტენტები და ჟესტური ენის თარჯიმნები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია დამატებითი სპეციალისტების ჩართვა.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯში დანერგილია ინკლუზიური პროფესიული განათლების ეფექტიანი მხარდაჭერის სისტემა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ინტერვიუს შედეგები და ადგილზე გაცნობილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გარემოს, ადაპტირებულ რესურსებს, შესაბამის მხარდაჭერის სერვისებსა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - შეფასდა შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტაცია, პროგრამის ბიუჯეტი, მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია და შესაბამისი ფინანსური მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა დაგეგმილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო დაფინანსება, რომელიც ხორციელდება პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსების მოდელით. წარმოდგენილი განმარტებების მიხედვით, პროგრამული დაფინანსება გამოიყენება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული არაპირდაპირი ხარჯების (ადმინისტრირება, კომუნალური და საკომუნიკაციო მომსახურება და სხვა) დასაფარად, ხოლო ვაუჩერული დაფინანსება – პროგრამის პირდაპირი ხარჯების, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების, სასწავლო მასალების, პრაქტიკული სწავლების რესურსებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა ხორციელდება განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის საშემოსავლო ნაწილი ეფუძნება ვაუჩერული დაფინანსებიდან მისაღებ შემოსავლებს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი ასახავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ პირდაპირ ხარჯებს. ფინანსური დაგეგმვისას დაწესებულება ასევე ითვალისწინებს გასული წლების გამოცდილებასა და იმ გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს რეალურ შემოსავლებზე, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, სწავლის შედეგების აღიარებასა და სხვა ფაქტორებს.

წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის რენტაბელობის მინიმალური ზღვარი პროგრამის განხორციელების ფორმების მიხედვით. კერძოდ, იმიტირებული და დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს. წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამაზე განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა აღემატება აღნიშნულ მინიმალურ მაჩვენებლებს, რაც პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საფუძველს ქმნის.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშების საფუძვლები იმ პროფესიული მოდულებისთვის, რომელთათვისაც ცალკე ფინანსური ღირებულება განსაზღვრული არ არის. წარმოდგენილი განმარტებების მიხედვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიუჯეტის დაგეგმვისას გამოყენებულია ანალოგიური შინაარსისა და მოცულობის მოდულების ფინანსური პარამეტრები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარჯთაღრიცხვის თანმიმდევრულობას.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება მოქმედ დაფინანსების მოდელს, შემოსავლებისა და ხარჯების რეალისტურ დაგეგმვასა და პროგრამის რენტაბელობის წინასწარ განსაზღვრულ მაჩვენებლებს, რაც ქმნის პროგრამის მდგრადი განხორციელების ფინანსურ საფუძველს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება.
- დანართი 2 ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე.
- სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის №01-02/204 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება“;
- სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2025 წლის 21 თებერვლის No01-02/ 39 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი -კოლეჯის ,,ბლექსი“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- საპროგნოზო ბიუჯეტი.
- ინტერვიურება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

დაწესებულებაში მოქმედებს სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №01-02/26 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სიცოცხლის ციკლის ყველა ძირითად ეტაპს, მათ შორის პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესს (მუხლი 16).

აღნიშნული წესის შესაბამისად, პროგრამის განხორციელების შეფასება წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უწყვეტ პროცესს და ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებასა და ანალიზს. შეფასება მოიცავს პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრას სასწავლო და მატერიალურ რესურსებთან, სწავლების მეთოდებთან, მოდულების შინაარსთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციებთან, პროფესიულ სტუდენტთა მოძრაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებთან, ასევე სხვა ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინდიკატორებთან.

პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის მენეჯერი პრაქტიკაში სისტემატურად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს, ესწრება სასწავლო პროცესს, აანალიზებს შიდა ვერიფიკაციის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებებს, პროგრამის განხორციელების სტატისტიკურ მონაცემებსა და სხვა მტკიცებულებებს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს ანალიტიკურ ანგარიშებს, განსაზღვრავს პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში ინიცირებს პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის მომდევნო განხორციელების დაგეგმვისას, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებასა და პროგრამის შესაბამისობას პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია შიდა რეგულაციით და პრაქტიკაში ხორციელდება ხარისხის მენეჯერის კოორდინაციით. ხარისხის მენეჯერი სისტემატურად აგროვებს და აანალიზებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით და შესაბამის რეკომენდაციებს აწვდის პროგრამის განმახორციელებლებსა და დაწესებულების ხელმძღვანელობას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს პროგრამის ხარისხის სისტემურ მონიტორინგსა და უწყვეტ განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ - შეფასდა შესაბამისად.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულებაში პროგრამის განვითარების პროცესი რეგულირდება სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №01-02/26 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესის“ მე-17 მუხლით. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ცვლილება შესაძლებელია პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნების, ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსების ცვლილებების, ასევე სხვა დასაბუთებული გარემოებების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლიათ პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, ინსტრუქტორს, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირსა და პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ სხვა პირებს. ცვლილებების ინიცირება ხორციელდება წერილობითი დასაბუთების საფუძველზე, ხოლო შესაბამის შემთხვევებში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ცვლილებების განხილვასა და მომზადებას. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დაწესებულება დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

ინტერვიუსა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განვითარების პროცესი პრაქტიკაში კოორდინირდება ხარისხის მენეჯერის მიერ. იგი პროგრამის განხორციელების შეფასების, შიდა ვერიფიკაციის, მონიტორინგის, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირისა და შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ახორციელებს პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას, ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს მათი განხილვისა და განხორციელების პროცესის კოორდინაციას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის განვითარების მკაფიო და რეგულირებული მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს. პროგრამის ცვლილებების ინიცირების, განხილვის, დამტკიცებისა და განხორციელების პროცედურები განსაზღვრულია შიდა რეგულაციით და შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხოლო ხარისხის მენეჯერის კოორდინაციით უზრუნველყოფილია პროგრამის უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესის პრაქტიკული განხორციელება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №01-02/26 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესი“
- გამოკითხვისა და ვერიფიკაციის ფორმები.
- ინტერვიურება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერია“ მოიცავს პროგრამის განხორციელების ფორმების შესაბამის სასწავლო გეგმებს, რომლებიც შემუშავებულია პროგრამის სტრუქტურისა და განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით. წარმოდგენილ სასწავლო გეგმებში მოდულები განლაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ ცოდნისა და უნარების ეტაპობრივ განვითარებას და სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას.

დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო გეგმებში კვირეული სასწავლო დატვირთვა განსაზღვრულია პროგრამის შინაარსისა და მოდულების სპეციფიკის შესაბამისად. ამასთან, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასების განხორციელებისთვის საჭირო დროითი რესურსი, რაც პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას სრულფასოვნად მიაღწიონ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი სასწავლო გეგმები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და განხორციელების ფორმას, ხოლო მათი სტრუქტურა და ორგანიზება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და ხარისხიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - შეფასდა შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

სასწავლო პროცესის ორგანიზება რეგულირდება სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, შიდა და გარე მობილობის, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის მართვისა და ორგანიზების, პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის, ასევე ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებსა და საჭიროებებს. სასწავლო პროცესი იგეგმება პროგრამის სპეციფიკის, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის, სასწავლო გარემოსა და რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტიან ორგანიზებას, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომასა და პროფესიული სტუდენტებისათვის თანაბარი და ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შიდა წესი, რომელიც სრულყოფილად არეგულირებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. ამასთან, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებაზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - შეფასდა შესაბამისად.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერიის“ განხორციელებისას სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებსა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც ასახულია პროგრამის მოდულებში. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება თანამშრომლობითი, ჯგუფური და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, სიმულაცია, პრაქტიკული დავალებები და ინტეგრირებული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრაქტიკული უნარების განვითარებასა და სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ დაწესებულებას აქვს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგობრივი ტექნოლოგიების მიმართულებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია ტრენინგები, მასტერკლასები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცდილების გაზიარების ღონისძიებები და საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებიც ორგანიზებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული უნარების სააგენტოს, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით. ტრენინგებში მონაწილეობა დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით, ცნობებითა და დასწრების ფურცლებით.

მიმდინარე წელს კოლეჯში განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ურთიერთდასწრების პროცესი, რომელმაც ხელი შეუწყო სწავლების პრაქტიკის გაზიარებას, გამოცდილების ურთიერთგაცვლას, სწავლა-სწავლების პროცესის ანალიზსა და თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების დანერგვას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებას და სწავლების თანამედროვე მეთოდების ეფექტიან გამოყენებას.

ამასთან, დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ დარგობრივი ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობას, მათ შორის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით. ყოველწლიური სამოქმედო გეგმითა და კოლეჯის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ასევე ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები დამსაქმებლებისა და პრაქტიკის ობიექტების ინსტრუქტორებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის შესაბამისობას დარგის თანამედროვე მოთხოვნებსა და შრომის ბაზრის საჭიროებებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები. დაწესებულებაში დანერგილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების, ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, ხოლო ყოველწლიური სამოქმედო გეგმითა და ბიუჯეტით უზრუნველყოფილია მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა. აღნიშნული ხელს უწყობს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას, სწავლების თანამედროვე მიდგომების ეფექტიან გამოყენებასა და პროგრამის შესაბამისობას პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - შეფასდა შესაბამისად.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის ორგანიზება რეგულირდება სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. აღნიშნული დოკუმენტი, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირების, ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმებს.

დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის სისტემური მექანიზმები. წესი ითვალისწინებს ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის, საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების, დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზების, ასევე სასწავლო გარემოს ფიზიკური და საგანმანათლებლო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამასთან, მიღების პროცესში გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული კვოტა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის.

დაწესებულებაში დეტალურად არის რეგულირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები. წესით განსაზღვრულია ისგ-ის შემუშავების საფუძვლები, პასუხისმგებელი პირები, შემუშავების ვადები, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ფუნქციები, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სწავლებისა და შეფასების ადაპტაციის შესაძლებლობები. დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც სწავლის შედეგების მოდიფიკაციის, ისე აკომოდაციის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე დეტალურადაა გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები მობილობით ჩარიცხული და სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნულ შემთხვევებში რეგულირებულია სასწავლო გეგმებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შედარებითი ანალიზის, სპეციალური კომისიის შექმნის, გადაწყვეტილების მიღების, პროფესიული სტუდენტის ინფორმირების და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების პროცედურები. წესით ასევე უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მკაფიო და სისტემური მექანიზმები. შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მობილობით ჩარიცხული და სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესს, თანაბარ ხელმისაწვდომობასა და საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვან ჩართულობას, რაც შეესაბამება ინკლუზიური პროფესიული განათლების პრინციპებსა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - შეფასდა შესაბამისად.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“ განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შპს „ბათუმი თაუერი“, შპს „არგო მენეჯმენტი“, სს „ნურიოლ ინშაათ ვე თიჯარეთი“; შპს „ტურინვესტი“. სს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„გუდვილი“ და შპს „ალუბალი“

წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით დგინდება, რომ ისინი შეესაბამება საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების“ მოთხოვნებს. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და მოვალეობები, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ორგანიზების პირობები, პროფესიული სტუდენტების სწავლების, შეფასების, უსაფრთხოების, შრომის დაცვისა და თანამშრომლობის სხვა არსებითი საკითხები.

პრაქტიკის ობიექტების მრავალფეროვნება და საქმიანობის სფეროს შესაბამისობა პროგრამის პროფილთან ქმნის შესაძლებლობას, პროფესიულმა სტუდენტებმა რეალურ სამუშაო გარემოში განივითარონ პროგრამით განსაზღვრული პროფესიული კომპეტენციები, მიიღონ თანამედროვე ტექნოლოგიებთან მუშაობის გამოცდილება და გაიღრმაონ პრაქტიკული უნარები.

წარმოდგენილი ხელშეკრულებები ადასტურებს, რომ დაწესებულებას შექმნილი აქვს პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი პარტნიორული ქსელი და უზრუნველყოფილი აქვს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოს მთავრობის №416 დადგენილების მოთხოვნებს და ქმნის პირობებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ინტერვიურება;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და გამოყენების პროცედურებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების პროცესის დაწყებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარუდგენს შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს. წარმოდგენილი ინსტრუმენტი გადის ორსაფეხურიან ვალიდაციას, რომელშიც მონაწილეობენ განათლების სპეციალისტი და დარგის სპეციალისტი (ძირითადად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი). ვალიდაციის პროცესში განათლების სპეციალისტი აფასებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ გამართულობას, ხოლო დარგის სპეციალისტი – მის შინაარსობრივ შესაბამისობას მოდულის სწავლის შედეგებთან, შეფასების კრიტერიუმებსა და მტკიცებულებებთან.

წესით ასევე განსაზღვრულია ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტის პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის რეკომენდაციებით დაბრუნების პროცედურა და შესწორებული ვერსიის წარმოდგენის ვადა. მხოლოდ შეთანხმებული, ორივე ვალიდატორის მიერ ხელმოწერილი შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ერთგვაროვნებასა და ობიექტურობას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცედურებს, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების წარდგენის, ვალიდაციის, რეკომენდაციების გათვალისწინებისა და შეთანხმებული ინსტრუმენტების გამოყენების ეტაპებს. ინტერვიუს შედეგებით ასევე დასტურდება, რომ აღნიშნული პროცედურები პრაქტიკაში სისტემატურად ხორციელდება და შეფასების ინსტრუმენტები შეფასების პროცესში გამოიყენება მხოლოდ დადგენილი წესით ვალიდაციის გავლის შემდეგ.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის სისტემური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ტექნიკურ და შინაარსობრივ ხარისხს, მათ შესაბამისობას მოდულის სწავლის შედეგებთან და შეფასების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებლები პრაქტიკაში იცავენ დადგენილ პროცედურებს და აქტიურად არიან ჩართულნი ვალიდაციის პროცესში, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების მიღწევების სამართლიან, სანდო და თანმიმდევრულ შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინიდკატორი პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური-შეფასდა შესაბამისად.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესს.

დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მექანიზმს და მიზნად ისახავს შეფასების პროცესის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფას. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის მენეჯერის მიერ ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად შემუშავებული წლიური ვერიფიკაციის გეგმისა და კოლეჯის სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

ვერიფიკაციის მექანიზმი ეფუძნება რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას. შერჩევის მექანიზმი ითვალისწინებს ისეთ რისკ-ფაქტორებს, როგორიცაა დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევითი კონტროლი, პრაქტიკული შეფასებების მაღალი წილი, ერთ ინსტრუმენტში შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის მიზნობრივ და ეფექტიან დაგეგმვას.

დოკუმენტით მკაფიოდ არის განსაზღვრული ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციები. პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო მასში მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, დარგის სპეციალისტი, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები და, საჭიროების შემთხვევაში, გარე ვერიფიკატორი. ამასთან, დოკუმენტი უზრუნველყოფს ფუნქციების გამიჯვნის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ერთი და იგივე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგის სპეციალისტი ერთდროულად ვერ განახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციასა და მის შემდგომ ვერიფიკაციას, რაც დამატებით უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობას.

ვერიფიკაცია მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და შეფასების მტკიცებულებების შემოწმებას. პროცესის დასრულების შემდეგ მზადდება დეტალური დასკვნა, რომელშიც აისახება გამოვლენილი გარემოებები, შეფასების სისტემის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან და განვითარების რეკომენდაციები. ვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე დაწესებულება შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც განსაზღვრულია გამოსასწორებელი ღონისძიებები, მათი განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების (PDCA) ციკლის პრაქტიკაში განხორციელებას.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით ასევე დასტურდება, რომ ხარისხის მენეჯერი პრაქტიკაში ყოველწლიურად ამზადებს ვერიფიკაციის გეგმას, ხოლო ვერიფიკაციის ჯგუფი პროცესს ახორციელებს დადგენილი პროცედურების შესაბამისად. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი იცნობენ ვერიფიკაციის პროცესის მიზანს, ეტაპებსა და საკუთარ როლს, ხოლო ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში დანერგილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ეფექტიანი, რისკებზე დაფუძნებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. ვერიფიკაციის შედეგები სისტემურად გამოიყენება ხარისხის გაუმჯობესების, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და შეფასების პროცესის სანდოობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს-შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც დეტალურად არეგულირებს შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, ვერიფიკაციისა და შენახვის პროცედურებს.

დოკუმენტის მიხედვით, შეფასების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებების პირველადი შენახვა მოდულის მიმდინარეობის პერიოდში პროფესიული განათლების მასწავლებლის პასუხისმგებლობას წარმოადგენს და ისინი ინახება შესაბამისი სასწავლო ჯგუფის პორტფოლიოში. მოდულის დასრულების ან განმეორებითი შეფასების დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მტკიცებულებებს დადგენილი წესით აბარებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც მათ იბარებს შეფასების უწყისთან რაოდენობრივი შესაბამისობის გადამოწმების საფუძველზე.

დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების სავალდებულო რეკვიზიტები, მათ შორის შეფასების შედეგის დაფიქსირება, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ხელმოწერები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ავთენტურობასა და მიკვლევადობას.

შეფასების მტკიცებულებების ხარისხის კონტროლის მიზნით მათი ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტისა და დარგის სპეციალისტების მონაწილეობით. საჭიროების შემთხვევაში პროცესში შესაძლებელია პარტნიორი დაწესებულების შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების ჩართვაც. ამასთან, შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის მიმდინარეობის პერიოდშიც, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უწყვეტ მონიტორინგსა და ხარისხის კონტროლს.

დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს შეფასების მტკიცებულებების არქივში გადაცემისა და შენახვის წესს. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი თვის ვადაში შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა კოლეჯის არქივს, ხოლო მოდულური პროგრამების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წელი. შეფასების შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემისას დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების პერსონალური მონაცემების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები იცნობენ შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარებისა და შენახვის პროცედურებს და პრაქტიკაში მოქმედებენ დადგენილი წესის შესაბამისად. შეფასების მტკიცებულებების მართვის პროცესი უზრუნველყოფს მათი სრული მიკვლევადობის, დაცულობისა და საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში დანერგილია შეფასების მტკიცებულებების მართვის მკაფიო და სისტემური მექანიზმი, რომელიც არეგულირებს მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, ვერიფიკაციის, არქივში განთავსებისა და შენახვის პროცესს. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობას, გამჭვირვალობას, მიკვლევადობასა და პერსონალური მონაცემების დაცვას, რაც სრულად შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით-შეფასდა შესაბამისად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგებს იყენებს მათი შემდგომი პროფესიული განვითარების, სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და ინდივიდუალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მიდგომა განსაზღვრულია „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმით და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქციით“, რომლის მიხედვითაც ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც სასწავლო პროცესისა და პროგრამების გაუმჯობესების, ასევე პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარების მიზნით.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში შეფასების პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასების მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის დროულ და კონსტრუქციულ უკუკავშირს. აღნიშნული პრაქტიკა პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, გამოავლინონ საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლებს – დაგეგმონ შესაბამისი მხარდამჭერი აქტივობები და საჭიროების შემთხვევაში სწავლების პროცესში განახორციელონ შესაბამისი კორექტირება.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ დაწესებულება შეფასების შედეგებს იყენებს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტების მიღწევების დასადასტურებლად, არამედ მათი შემდგომი განვითარების, ინდივიდუალური მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, ინდივიდუალური უკუკავშირის მექანიზმთან ერთად, უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებას და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის-შეფასდა შესაბამისად.

- „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქცია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვერიფიკაციის ფორმები
- ინტერვიურება

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

.....

.....

.....

10.08.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: